მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ვინ არის ბრძენი? ის, ვინც ყოველი ადამიანისაგან სწავლობს. ვინ არის გმირი? ის, ვინც ვნებას მოთოკავს. ვინ არის მდიდარი? ის, ვინც თავისი ხვედრით კმაყოფილია. ვინ არის დაფასებული? ის, ვინც სხვებს პატივს სცემს.
ფირქეი აყოთ IV

ებრაული გაზეთი საქართველოში

MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

"מנורה"
עתון יהודי
בגאורגיה

„МЕНОРА`
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

ივნისი
(სივანი)
1-15
№11 (275)
(5768 წელი)
2008 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה

9-10 ივნისი — შაბუოთი, გილოცავთ!

სამყაროს შექმნიდან 1313 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2448 წელს, როცა სინაის მთის ძირას ებრაელმა ერმა ღვთის მცნებანი მიიღო — კაცობრიობამ გადადგა ნაბიჯი წინ ერთი ღმერთის აღიარების გზაზე.

ეგვიპტელთა მონობიდან ერთი ღმერთის — მონოთეიზმის აღიარებამდე განვლილი გზა:

1313 წლის 15 ნისანი — ეგვიპტიდან გამოსვლა.

1313 წლის 21 ნისანი — წითელი ზღვის გაპობა, ებრაელთა ხმელეთზე გასვლა.

15 იარი — უდაბნოში ციური მანას გამოჩენა.

1 სივანი — ებრაელები სინაის უდაბნოში მოდიან.

6 სივანი — თორის ბოძების დღე.

რა ჩამოუტანა მოსემ ხალხს სინაის მთიდან?

რწმენის ორი დაფა, რომელზეც ეწერა:

მე ვარ შენი ღმერთი, რომელმაც
გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან —
მონობის სახლიდან,

არ გყავდეს ჩემს გარდა სხვა ღმერთები,

არ დაითვიცო უფლის სახელი ამაოდ,

დაიცავი შაბათი,

პატივი ეცი მშობლებს,

არა კაცს ჰკლა,

არა იმრუშო,

არა იქურდო,

არ წარსდგე ცრუმოწმედ,

არა ისურვო ცოლი შენი მოყვასისა.

ორი სარკე

რუბენ ენოხი (ენუქაშვილი)

1988-1989 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ქართულსა და ცენტრალურ საბჭოურ მასმედიაში

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. გაზ. „მენორა“ №7

იმავე პუბლიკაციაში და პირველად ოფიციალურ დონეზე გამოიხატა უკმაყოფილება ცენტრალური მასმედიის მიმართ, რომელიც, საქართველოშიარსებულისაზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ქართველის გაყალბებულ სახეს ხატავდა. პატიაშვილი აღნიშნავს: „თუკი ვინმე ერის განსჯას დაიწყებს საკოლმეურნეო ბაზრის დახლიდან, ეს ჩვენი საერთო პრობლემაა და ჩვენი დანაშაულია.“ ქართული პრესა გამოეხმაურა პარტიულ ლიდერს. რამდენიმე დღის შემდეგ ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა რევაზ ჯაფარიძემ გაიხსენა ქართველ მწერალთა (მათ შორის თავისი) რეაქცია ვალენტინ რასპუტინის სიტყვაზე, რომელიც მან წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე: პროტესტის ნიშნად მათ, ყველამ ერთად, დატოვეს დარბაზი. ამ დრამატულ მომენტში, როგორც ჯაფარიძე მოგვითხრობს, მათ უყვიროდნენ: „აბა, რა გეგონათ, თქვენ სპეკულიანტებო? თქვენი ადგილი ბაზარშია!“ ავტორს სურდა ეჩვენებინა, რომ ეს იყო ქართველის სახე, რომლის შექმნასაც ცდილობდა რუსეთი. მან ამაში ერის ღირსების, კულტურისა და ისტორიის დაკნინების მცდელობა დაინახა: „ამ ყოვლად დაუმსახურებელ შეურაცხყოფას კაცი კიდევ როგორმე მოითმენდა, ჩაყლაპავდა, მაგრამ, ვაი, რომ ჩვენთან ერთად ბაზარში სავაჭროდ აგზავნიდნენ ყველას და ყველაფერს, რითაც უთვალავ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ ერთ მუჭა ქართველ ხალხს თავი მოსწონს და რის წყალობითაც იგი ერად იწოდებოდა[6].“

განვიხილოთ რამდენიმე პუბლიკაცია ცენტრალურ პრესაში, რომლებითაც ავტორები არც განიზრახავდნენ ქართველის (ან ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთი რესპუბლიკების ხალხთა) ნეგატიური საქმის წარმოჩენას, მაგრამ მათი სტილი ისეთი გახლდათ იმ დროს, რომ რუსი „ობივატელისათვის“ ქართველი წარმოისახებოდა, როგორც გაქნილი ადამიანი, რომელიც ხელყოფდა რუსულ ინტერესებს.

რუბრიკით „შავი ბაზარი და დაგეგმვის პარადოქსები“ (4.1.88) გაზეთმა „პრავდამ“ დაბეჭდა სტატია „შავი ვაჭრები.“ იგი ეხებოდა დარღვევებს იმპორტული ავეჯის გაყიდვის საქმეში. ავტორი მწვავედ აკრიტიკებს „შავ მებაზრეებს“ და წერს: „დეფიციტური პროდუქტებით დატვირთული პროდუქტები მიფრინავდა საქართველოსა და აზერბაიჯანისაკენ, სომხეთისა და ჩრდილო კავკასიისაკენ... ავეჯის თითქმის ნახევარი გატანილ იქნა დედაქალაქიდან (მოსკოვიდან).“ ამ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებით მოსკოველ მკითხველს ყოველ მიზეზგარეშე უჩნდება უარყოფითი ემოციები. სტატიაში ზუსტადაა ნაჩვენები, რომ არსებული მდგომარეობა ცუდი დაგეგმვის შედეგია („აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, რომელთა მოსახლეობის საერთო ჯამი 15,5 მილიონი ადამიანია, მოსკოვზე ხუთჯერ ნაკლებ იმპორტულ ავეჯს იღებს“). მაგრამ შემდეგ ჩართული იყო ერთი წინადადება, რომელიც აქეზებდა გარკვეული ინტერესის მქონე მკითხველს: „მოდით, ის ფაქტიც დავამატოთ, რომ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა მსყიდველობითი უნარი გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო მოსკოველისა.“ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უაღრესად საეჭვო „ფაქტი“ არასდროს დაუდასტურებიათ; უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორაა იგი წარმოდგენილი.

მე განზრახ შევაჩერე ყურადღება ცენტრალური პრესის იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც მთლიანობაში ეხება სამხრეთ რესპუბლიკებს, და არა მხოლოდ საქართველოს, რადგან მინდა იმის ჩვენება, რომ ეს მასმედიის საერთო ტენდენციის ნაწილი გახლდათ. არ იყო შემთხვევითი ის მოწოდებები, რომ მედიას მეტი სიფაქიზე უნდა გამოეჩინა ამგვარი განზოგადებების დროს.

საკავშირო მასმედიაში ქვეყნდებოდა სტატიები, რომელშიც აღწერილი იყო ქართველთა სიკეთე, გულისხმიერება და სითბო. ნარკვევში „იმერული ამბავი“ ავტორი შენიშნავდა: „უთხარი კარგი სიტყვა ქართველს, მოეპყარი მეგობრულად, და იგი თან გადაგყვება[7].“

ხშირად იყო საუბარი ქართველთა შემწყნარებლობის შესახებ, და ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივია ასეთი სათაური „ჩემი ბავშვობის ეზო, სადაც 17 სხვადასხვა ეროვნების ბიჭი მეგობრობდა.“ ავტორი ენთუზიაზმით წერს: „თბილისი... ფართო პროსპექტებსა თუ მივიწყებულ ძველ კუთხეებში 80-ზე მეტი ერის ადამიანი ცხოვრობს და შრომობს გვერდიგვერდ. არასოდეს ყოფილა ეროვნული ან რელიგიური მტრობა, ან კონფლიქტი.“ ქართული შემწყნარებლობა აგრეთვე განდიდებულია სტატიაში, რომლის სათაურია „გულისძგერა“ (ეხება საქართველოში დაბადებული რუსი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ხსოვნის პატივისცემას) და დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდაში“ (23.7.88).

ცენტრალურ პრესაში ასევე ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ქართული კულტურის დადებით ასპექტებზე, მის წარმატებებსა და სახელმოხვეჭილ მოღვაწეებზე. „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (16.3.88) დაიბეჭდა მასალა „თეატრი ცოცხლებისათვის,“ რომელშიც მოთხრობილი იყო ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ოპერის დადგმის შესახებ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში; „თვალის დევნებით“ (7.9.88) ეძღვნებოდა ქართველი კრიტიკოსის, გურამ ასათიანის დაბადებიდან მე-60 წლისთავს, კრიტიკოსისა, რომელიც იკვლევდა ეროვნულ ხასიათს; „ხელახლა აღმოჩენა“ (12.10.88) ეხებოდა მწერალ გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც წავიდა საბჭოთა კავშირიდან მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში და რომლის ნაწარმოებებიც აკრძალული იყო 80-იანი წლის ბოლომდე. დროდადრო იმავე გაზეთში ქვეყნდებოდა ქართველ მწერალთა და კრიტიკოსთა სტატიები საერთო საკაცობრიო და ეროვნული ფასეულობების ურთიერთმიმართებისა და ადამიანური გრძნობების წარმოსახვის შესახებ ქართულ ლიტერატურაში. მათ შორის აღსანიშნავია ოთარ ჭილაძის „სიცოცხლისათვის“ (17.2.88) და ზაზა აბაშიძის „პოეზიის ეკოლოგია“ (1.6.88).

და მაინც, პუბლიკაციები არ განიხილებოდა საქართველოს ადგილობრივ პრესაში. მეტწილად შუქდებოდა ცენტრალურ მედიაში გამოქვეყნებული ის სტატიები, რომლებიც ამა თუ იმ სახით ლახავდნენ ქართველი ერის ღირსებას. ქართველი ავტორები გამოხატავდნენ თავიანთ გაღიზიანებას არა მარტო რესპუბლიკურ პრესაში, არამედ ცენტრალურ მასმედიაშიც და საკავშირო შეკრებებზე. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გიორგი ციციშვილი, სსრკ-ის მწერალთა კავშირის პლენუმისადმი მიმართვაში შენიშნავდა: „საიდუმლო არ არის, რომ გაზეთებში „სოვეტსკაია კულტურა,“ „ტრუდი,“ „მოსკოვსკიე ნოვოსტი,“ „კომსომოლსკაია პრავდა“ გამოქვეყნებულმა სტატიებმა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვიეს თავიანთი არაკომპეტენტურობისა და მიკერძოების გამო.“ თავის სიტყვაში შემდეგ იგი შეეხო ქართველი ხალხისათვის კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხს: „როდემდე უნდა ვითმინოთ ისეთი სტატიები და ნარკვევები, რომელშიც ძირძველი ქართველები მოხსენებულნი არიან აჭარლებად, მეგრელებად... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიღაც არარსებული ერის წარმომადგენლად?“ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ)[9].

ქართველი ჟურნალისტი, გიორგი ლებანიძე, წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „პრავდას“ კორესპონდენტად. ერთ-ერთ თავის მიმოხილვაში (რომელიც მიმართული იყო საქართველოს მომავალი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ოღონდ იგულისხმებოდა მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა) მან გაბედა გაეკრიტიკებინა ცენტრალური პრესა: „როდესაც საქმე ეხება ეროვნულ საკითხებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია... გამოვავლინოთ დიდი პასუხისმგებლობა და წინდახედულობა მსჯელობისას. ეს არის გაფრთხილება იმ რედაქტორებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების მისამართით, რომელთა პუბლიკაციებშიც ამა თუ იმ რესპუბლიკის შესახებ უშვებენ შორსმიმავალ განზოგადებებსა და ნაჩქარევ დასკვნებს“.10 რაც შეეხება იმ ვნებას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მთელი ერისადმი წაყენებული უპასუხისმგებლო ბრალდებებით, ქართველი პოეტი ტარიელ ჭანტურია ამბობს: „ვინმეს რომ ქართველისათვის სახეში შეეფურთხებინა, მას კანონით დასჯიდნენ. მაშ, რა მოხდება, თუკი მან მთელს ერს შეაფურთხა სახეში?“11

საბჭოურ-ქართული მემკვიდრეობა

„პერესტროიკის“ წლები მთელი საბჭოთა კავშირისათვის წარსულის არსში ჩაწვდომის ხანა იყო. იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას — სტალინის მთავარი თანაშემწისა მასობრივი რეპრესიების საქმეში — მმართველობა გამორჩეულად იპყრობდა ადამიანების ყურადღებას. ხელოვნების წარმომადგენლებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს იმაში, რომ ხალხს დაენახა წარსულის პერიპეტიები. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი რეჟისორის, თენგიზ აბულაძის ფილმს „მონანიება,“ რომელიც ტოტალიტარიზმის ბრალდებას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ეს ფილმი და ასევე სტალინის პიროვნებისა და მოღვაწეობის საკითხი შეახსენებდა ადამიანებს „წითელი დიქტატორისა“ და მისი „თანამებრძოლების“ ქართულ წარმომავლობას. ტარიელ ჭანტურია ზემონახსენებ სტატიაში წერს: „შეიძლება გაიგონო შემდეგი: ქართველი სტალინისა და ქართველი ბერიას ცოდვები მეტისმეტად ხშირად და მეტისმეტად მიეწერება რუს ხალხს.“ მას აგრეთვე მოჰყავს ციტატა ერთ-ერთი ყოველკვირეული ჟურნალიდან (რომლის სახელი მითითებული არ არის): „ჩვენ გავუძელით მონღოლთა უღელს, ჩვენ გავუძლებთ ქართველთა უღელსაც[12].“

ამგვარი გამონათქვამები ძალზე მტკივნეული იყო ქართველებისათვის. მათ მიერ გამოწვეული გაღიზიანება აისახა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ოფიციალურ გამოსვლებში; ჯუმბერ პატიაშვილი ამბობდა: „ჩვენ შეშფოთებული ვართ იმ მცდელობებით, რაც წარსულის რეპრესიებს აიგივებენ [ქართველი] ხალხის ეროვნულ ხასიათთან[13].“

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი აღნიშნავდნენ, რომ მისი ქართველობა ხელს არ უშლიდა სტალინს თავის თანამედროვეთა რეპრესირებაში. რევაზ ჯაფარიძე შენიშნავდა: „მოსახლეობის საერთო რიცხვთან შეფარდებით საქართველოს ის რესპუბლიკაა, რომელმაც 1937 წლის გაუმართლებელ სისხლიან რეპრესიებში ყველა სხვა რესპუბლიკაზე მეტი მსხვერპლი გაიღო. დიახ, სწორედ მეტი და არა ნაკლები, როგორც ბევრს ჰგონია. საქართველომ დაკარგა თავისი ინტელიგენციის, გლეხობის, მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი[14].“

სტალინის მიერ ქართველთა მიმართ ჩადენილ ბოროტებებზე არა მარტო ქართველი მწერლები და ჟურნალისტები ლაპარაკობდნენ. „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ედვარდ რაძინსკიმ გამოაქვეყნა წერილების სერია „სიყვარულის ამბავი,“ რომლებიც, მისი თქმით, რეალური ცხოვრებიდან იყო აღებული. ერთ-ერთ სტატიაში „მეგობრული სიყვარულის შესახებ“, გადმოცემულია სტალინის ბავშვობის მეგობრის მონათხრობი. აი, ერთი ნაწყვეტი:

„მე ახლა არ შევუდგები იმის მოყოლას, როგორ ვქრებოდით უკვალოდ ჩვენ, მისი მეგობრები, მისი თანამემამულეები... რამდენი ჩვენგანი გადარჩა... ჩვენ, გულადი ქართველი ბიჭები? ჩვენ არ გადავრჩით: ზოგიერთი დაიჭირეს, ზოგიერთი მოკლეს, ზოგიერთს თავი მოაკვლევინეს[15].“

„მონანიების“ რეჟისორმა აბულაძემ დაწერა ცენტრალურ პრესაში იმ ტენდენციის შესახებ, რომ ფილმის მთავარ გმირს სტალინისათვის დამახასიათებელ ეროვნულ თავისებურებებს მიაწერდნენ, მაშინ, როცა ფილმი ფიქტიურ დიქტატორს ეხებოდა: „საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი და რამდენიმე ჟურნალისტი ცდილობს ფილმის მთავარი გმირის ვარლამ არავიძის კონკრეტული არქეტიპის პოვნას. ისინი მისი გვარის ვულგარულ ინტერპრეტაციას აკეთებენ, რასაც არავითარ კავშირი არ აქვს სინამდვილესთან[16].“

აბულაძის შენიშვნები იყო პასუხი „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე: „მზითევი: ფილმ „მონანიებაში“ არქეტიპების ძიებაში“ (4.2.88), რომელმაც სერიოზული აღშფოთება გამოიწვია საქართველოში. სტატიის ავტორი ი. რუდენკო სვამს მორალურ საკითხს ერთ-ერთი თბილისური ოჯახის წევრთა შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. წერილი ნამდვილ ამბავს ეყრდნობა, მაგრამ ავტორი იყენებს ამ მაგალითს ზნეობრიობის ზოგადი საკითხების — კარგისა და ავის — გასაანალიზებლად, და ხშირად იმოწმებს „მონანიებას,“ რადგანაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, სწორედ ეს ამბავი დაედო საფუძვლად მის სიუჟეტს. მას მოჰყვა რეჟისორის გამონათქვამები. მაგრამ აბულაძე არ იზიარებს ამგვარ არასწორ ინტერპრეტირებას, საერთოდ, და, კერძოდ, ამ შემთხვევის მიმართაც. „იქნებ შევწყვიტოთ ეროვნული ძირების ძიება აღსარების თქმის საჭიროებისათვის? თუ ასე მოვიქცეოდით, „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტს აღარც ვარლამის შთამომავალთა ძებნა დასჭირდებოდა დღევანდელ თბილისში და არც „მონანიების“ არქეტიპის ცრუ გზით სიარული. ბოროტი და კეთილი სცილდება ეროვნულ საზღვრებს[17].“ საქართველოში ბრაზით შეხვდნენ რუდენკოს სტატიას.. მრავალი ქართველისათვის ეს ეროვნული ღირსების შელახვის ტოლფასი იყო. მის საპასუხოდ რუსულენოვანმა რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „მოდით, გავარკვიოთ ყველაფერი“ (14.2.88). სტატიის დასაწყისში ავტორი წერს: „ამ სტატიის ახალგაზრდულ გაზეთში გამოქვეყნებას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა... ჩვენს რესპუბლიკაში... აღშფოთებული მკითხველები მოუწოდებდნენ „ზარია ვოსტოკასა“ და სხვა გაზეთების რედაქციებს ჟურნალისტის გაკიცხვას მის სტატიაში „მზითევი“ დაშვებული წინასწარგანზრახული სიცრუის გამო.“ გაზეთი უმატებს, რომ მკითხველთა რეაქციები „ერთსულოვანი და კატეგორიული იყო.“ „ზარია ვოსტოკას“ ჟურნალისტი ბრალს სდებს რუდენკოს მისთვის ცნობილი მრავალი ფაქტის დამალვაში, რადგანაც ისინი არ ესადაგებოდნენ იმ იმიჯს, რომლის გადმოცემასაც იგი ცდილობდა. გამორჩეული კრიტიკის ობიექტი გახდა მისი მცდარი გამონათქვამები საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში არსებული ცხოვრების წესის შესახებ. სტატიაში გამოყენებული იყო რამდენიმე ნაწყვეტი მკითხველთა წერილებიდან.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

ისრაელის ელჩის შაბთაი ცურის გაცილება

29 მაისს თბილისის ბეითქნესეთში ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 60 წლისთავის აღსანიშნავი და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — ბატონ შაბთაი ცურის გაცილებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. შ. ცური ამთავრებს საქართველოში სამსახურებრივ მოღვაწეობას და ისრაელში ბრუნდება. სინაგოგაში შაბთაი ცური თავის მეუღლესთან ლეა ცურთან და საელჩოს კონსულთან — მეირა საგისთან ერთად მოვიდა. შემოსვლისას სინაგოგის ჭიშკართან ელჩსა და მის მეუღლეს სეფერთორები შეაგებეს, ფეიერვერკმა არე გაანათა. შაბთაი ცურმა განაცხადა, რომ საქართველოს 31 ივლისს დატოვებს, ახალი ელჩი კი 1 აგვისტოდან შეუდგება საქმიანობას. სინაგოგაში შეკრებილმა სტუმრებმა გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართეს ბატონ ელჩს და საჩუქრები გადასცეს. სინაგოგაში ნაჩვენები იქნა გოგი თორაძის გადაღებული ფილმი, რომელიც მოგვითხრობს ბატონი შაბთაი ცურის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. შალვა ქოსაშვილმა შაბთაი ცურს, როგორც კარგ მოქეიფე ადამიანს, გადასცა ორი ყანწი და ხანჯალი.

ხოლო ბატონმა შაბთაიმ საპატიო სიგელი გადასცა ახალგაზრდა ხახამს დავით აზიზოვს. დავითმა კი ელჩი კეთილი სიტყვებით შეამკო და მეუღლესთან, მთელ ოჯახთან ერთად მშვიდობა და წინსვლა უსურვა. გაცილების ცერემონიალი დიდი სალოცავის გაბაის შალვა ქოსაშვილის ორგანიზებით მიმდინარეობდა და პირველი სიტყვაც სწორედ მან წარმოსთქვა. შემდეგ გამოვიდნენ: საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი, „მაქაბის“ პრეზიდენტი გურამ პაატაშვილი, თბილისის ებრაული სახლის დირექტორი რეზო შათაშვილი, „ჯოინთის“ დირექტორი საქართველოში სერგო ვლასოვი, „სოხნუთის“ დირექტორი საქართველოში გრეგორი ბროდსკი, გაბაის მოადგილე სიმონ იოსებაშვილი, სპორტული მიმომხილველი ჯამლეთ ხუხაშვილი.

დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა **შაბთაი ცურმა**:

— ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ, ქალბატონებო და ბატონებო, მე მსურს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ისრაელის დამოუკიდებლობის სამოცი წლისთავი და ვუსურვო ისრაელის სახელმწიფოს მშვიდობა. ასევე მსურს დავლოცო საქართველო, ვუსურვებ ბედნიერებას, წინსვლას. პირველ რიგში მე მინდა მადლობა მოვახსენო ბატონ შალვა ქოსაშვილს და ბატონ არიელ ლევინს, მთელ შემადგენლობას, რომ გვერდში ამომიდგნენ და ასეთი კარგი საღამო მომიწყეს. გენერალი მაშინ არის კარგი, როცა ჰყავს კარგი ჯარისკაცი და მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს — ლეას, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგას და ჩემს საელჩოს თანამშრომლებს — ქალბატონ მეირასთან ერთად. როცა მე საქართველოში ელჩის თანამდებობა შემომთავაზეს, ვიცოდი, რომ აქ მუშაობა იქნებოდა ჩემთვის ცხოვრებაში კიდევ ერთი წინ გადადგმული, წარმატებული ნაბიჯი. ყველას მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ: „სოხნუთს“, „ჯოინთს“, ყველას, ყველა ორგანიზაციას მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ. მე ვფიქრობდი, რომ ამ ოთხი წლის შემდეგ გავიდოდი პენსიაში, მაგრამ საქართველომ იმდენი რამ შემასწავლა, რომ მე მაქვს ძალა კიდევ ძალიან დიდი. მინდა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, ყველა იმ ებრაელს გვერდში ამოგიდგეთ. მე გპირდებით, რომ მე ვიქნები თქვენი ერთ-ერთი ძმა, რომელიც იზრუნებს, შეძლებისდაგვარად, გვერდში ამოუდგეს საქართველოს და ქართველ ხალხს. მე 31 ივლისს ვტოვებ საქართველოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე არ გავაგრძელებ ზრუნვას ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისათვის. მე მინდა პირადად, უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომ მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში ყოველთვის გვერდით მედგა.

დიდ თანხლებას ვიეძღვნა

27 მაისს თბილისის ებრაულ სკოლაში „თიფერეთ ცვი“ გაიმართა საღამო, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავს და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

მოწვეული გახლდათ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი შაბთაი ცური.

საღამო თბილისზე და იერუსალიმზე დაწერილი მარიკა მირველაშვილის მიერ შესრულებული შესანიშნავი სიმღერით გაიხსნა. სიმღერა ქართულად და ებრაულად იქნა შესრულებული. საღამოს წამყვანმა — ებრაული სახლის პროგრამების ხელმძღვანელმა ზაირა დავარაშვილმა დასაწყისშივე თქვა:

— მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის, განსაკუთრებული მადლობა საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ შაბთაი ცურს და ლეა ცურს. მინდა გითხრათ სამწუხარო ამბავი — ჩვენი ბატონი შაბთაი ცური, რომელმაც ყველას გულში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, ძალიან მალე ამთავრებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას საქართველოში.

ჩვენ გვინდოდა ეს საღამო განსაკუთრებულად აღგვენიშნა და მიგვეძღვნა ბატონი შაბთაისათვის, მაგრამ დაგვიკავშირდნენ დიდი სალოცავიდან, სადაც 29 მაისს ტარდება ძალიან დიდი ღონისძიება, რომელიც ეძღვნება ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავსა და ბატონ შაბთაი ცურს, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს წარმოადგენს და ამიტომ ჩვენ დავაყენეთ ჩვენი სალოცავი, ჩვენი სინაგოგა პირველ ადგილზე და ებრაული სახლის ღონისძიებაც შეუერთდება იმ ცერემონიალს 29 მაისს. ახლა კი ძალიან მოკლედ ვიტყვი: უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის ბატონო შაბთაი, წარმატებით გევლოთ და დანარჩენს კიდევ ბევრს მოისმენთ ჩვენგან მადლობას.

რეზო შათაშვილი, ებრაული სათემო სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

— მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ შაბთაის აქ მობრძანებისთვის: მადლობა ბატონო შაბთაი, რომ ოთხი წელიწადი თქვენ იყავით ჩვენთან ერთად, თქვენ ხართ ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი საქმე გააკეთა, ჩვენი ქართულ-ებრაული თემისათვის. პირადად მე უბედნიერესი ადამიანი ვარ იმის გამო, რომ როცა კი თქვენთვის თხოვნით მომიმართავს არ მახსოვს ისეთი მომენტი, რომ თქვენ უარი გეთქვათ და გვერდში არ დაგვდგომოდით. დარწმუნებული ვარ თქვენ ისრაელში წასვლის მერეც საქართველოში ხშირად ივლით. დაგილოცავთ გზას იერუსალიმისაკენ.

შაბთაი ცურმა ძალიან მოკლედ დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს. ასევე ისაუბრეს ავიმელეხ როზენბლატმა და გურამ პაატაშვილმა, რომელსაც ზაირა დავარაშვილმა საჩუქარი გადასცა.

ზაირა დავარაშვილმა ისაუბრა ახლახანს ქარვასლაში ჩატარებულ გამოფენაზე (იხ. „მენორა“ 10), რომელიც ლელა წიწუაშვილმა განახორციელა. გამოფენაც ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავს მიეძღვნა. ქალბატონმა ლელა წიწუაშვილმა დღესასწაული მიულოცა დამსწრეთ და რამდენიმე სტუმარს გადასცა კატალოგი, რომელშიც შესულია საქართველოში გამოფენილი ყველა შედევრი.

ენდრიუ ბეიკერი:
აღფრთოვანებული ვარ...

საუბარი ამერიკის ებრაული კომიტეტის საგარეო ურთიერთობის ხელმძღვანელთან ენდრიუ ბეიკერთან

— მოგესალმებათ გაზეთი „მენორა“. ჩვენი გაზეთის ტრადიციისამებრ გთხოვთ წარუდგეთ ჩვენს მკითხველს.

— ამერიკის ებრაული კომიტეტის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ვარ. ძალიან ბევრი ვალდებულება და ფუნქცია მაქვს. ერთ-ერთი ისიც გახლავთ, რომ საერთაშორისო მასშტაბით ებრაულ სათვისტომოებს შორის დავამყაროთ კონტაქტი და თანამშრომლობა. თბილისში ჩემი ჩამოსვლა ამჯერად უკავშირდება იმ პროექტს, რომელსაც კარგა ხანია, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდთან ერთად ვანხორციელებთ და აი, ამ პროექტის ფარგლებში ღონისძიებაზე ვარ თბილისში.

— ახლახანს ჩატარდა ამერიკის ებრაული კომიტეტის წლიური კრება. რა საკითხები იყო უმთავრესი?

— რადგან ეს კრება დაემთხვა ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავს, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც განიხილებოდა გახლდათ ისრაელის დიასპორასთან ურთიერთობა. მაგალითად: დიასპორაში როგორ აღიქმება ეს მოვლენა, ანუ რა კეთდება იმისათვის, რომ ისრაელის პოლიტიკას დაეჭიროს მხარი დიასპორის მხრიდან. ჩვენი საზეიმო ვახშამი გახსნა ქალბატონმა კონდოლიზა რაისმა და მისი გამოსვლა ეხებოდა სამშვიდობო გეგმას ახლო აღმოსავლეთში. გარდა ამისა, ჩვენ გვყავდა სტუმრად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ჰქონდა ვრცელი მოხსენება სხვადასხვა საკითხებისაგან შემდგარი. მან დიდი დრო დაუთმო საფრანგეთი-ისრაელის ურთიერთობას. დაახლოებით 50 ქვეყნიდან გვყავდა ებრაული სათვისტომოების ლიდერები და ძირითადად საუბრობდნენ იმ საკითხებზე, რაც არის პრობლემატური და აქტუალური.

— რამდენად შედის საქართველო და მისი ებრაელობა თქვენი ინტერესების სფეროში?

— ჩვენს წლიურ კრებებს ესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის ებრაელობის ღირსეული წარმომადგენლები. არიან წარმომადგენლები საქართველოს ებრაული სათვისტომოდან, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცდილობთ, მანძილის მიუხედავად შეხვედრები მაინც განვახორციელოთ თემის წევრებთან.

გვაინტერესებს თუ რა პროცესები მიმდინარეობს დიასპორის ქვეყნებში, რა კეთდება ებრაული თვით იდენტიფიკაციისათვის.

— როგორ შეაფასებდით თბილისის ებრაული სახლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს?

— რა თქმა უნდა, ძალიან შეშფოთებული ვარ ამ საკითხით. აქ ყოფნის პერიოდში ვესაუბრები ხალხს თუ რატომ მოხდა ეს. როგორც გავიგე, თითქოს არსებობდა საშიშროება უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. თითქოს რაღაც საფრთხე მომდინარეობდა და ამიტომ დაკეტეს ეს სახლი. გარდა ამისა, ვისაც ველაპარაკე, მათგან ასეთი პასუხი მივიღე, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, რომ გვითხრან ეს მართლაც ასე იყო თუ არა. მე გუშინ დავუკავშირდი „ჯოინთის“ დირექტორს და გადავეცი, რომ საჭიროა მეტი ინფორმაციის გავრცელება, რადგან ხალხი არ არის ინფორმირებული.

— რა შთაბეჭდილება გაქვთ საქართველოზე?

— აღფრთოვანებული ვარ და ძალიან მიხარია, რომ მაქვს ასეთი შანსი ვიყო საქართველოში, რადგან ძალიან დიდი ხანია მინდა აქ ჩამოსვლა და მადლობას ვუხდი ნაუმანის ფონდს, რომ ამ შემთხვევაში მომცა ამის საშუალება.

თიკო ჩიხრაძე

ბაით იეუდი

ანუ

ნუ მიმატოვებ სიბერის პირს!

მენახემ ელაზარი
„ჯოინთის“ პირველი წარმომადგენელი საქართველოსა და კავკასიაში

ოთხმოცი წლის წინათ გერცელ ბაზოვი გაზეთ ,,მაკავეელში“ წერდა, რომ საქართველოს ებრაელობა მსოფლიო ებრაელობისაგან გარიყული კუნძულივით არისო.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მსოფლიოს, ებრაელი ხალხის ისტორიაში ბევრი ცვლილება მოხდა: პირველი მსოფლიო ომი და რუსეთში რევოლუცია, კომუნისტური რეჟიმი აღმოსავლეთ ევროპაში, მეორე მსოფლიო ომი და ებრაელი ერის კატასტროფა, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ექვსდღიანი ომი, რომელმაც საქართველოს ებრაელობაში საუკუნებრივად ჩამარხული იმედი გამოაღვიძა:

— ბე შანა ჰაბაა ბე იერუშალაიმ!

18 ქართველი ებრაელი ოჯახის წერილი საბჭოთა, ტოტალიტალურ რეჟიმთან პირველი გმირული შებრძოლება იყო. ამ წერილით საფუძველი დაედო მეოცე საუკუნის ბოლოს ებრაელი ხალხის ამოსვლას ისრაელში. საქართველოს ებრაელობის უდიდესმა ნაწილმა ისრაელს მიაშურა. მცირე უმნიშვნელო ნაწილი კი ევროპასა და ამერიკაში დასახლდა, ნაწილი — საქართველოში დარჩა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს საბჭოთა რეჟიმის ნგრევამ ყოფილ რესპუბლიკებს საშულება მისცა მიეღოთ ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. პროცესები ისე განვითარდა, რომ ამ ქვეყნებში დარჩენილი ებრაელობა სრული საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით, დაუცველი გახლდათ, ეკონომიურად, სოციალურად, მოხუცებული ხალხი.

ისრაელის სახელმწიფომ მშველელი ხელი გაუწოდა ებრაელ ხალხს და ვისაც სურვილი ჰქონდა, ისრაელში ამოსასვლელად დახმარება მიიღო. ის ნაწილი, რომელიც საქართველოში დარჩა (განსაკუთრებით მოხუცები), დიდი საშიშროების წინაშე გახლდათ. მათი უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო ამერიკის ებრაელთა გაერთიანებულმა კომიტეტმა — ჯოინთმა. ამერიკელმა ებრაელებმა ეს ორგანიზაცია პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩამოაყალიბეს პალესტინაში დასახლებული ებრაელების დასახმარებლად.

მოგვიანებით ჯოინთი საბჭოთა კავშირშიც შემოვიდა, აქაც დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ მერე აკრძალული იქნა.

ამ სივრცეში ჯოინთის მოქმედება 90-იან წლებში განახლდა. დამოუკიდებელ საქართველოში ჯოინთი 1992 წლიდან მოქმედებს. თბილისში სწორედ ამ წელს გაიხსნა მისი წარმომადგენლობა.

ჯოინთი საქართველოში გარკვეული პროგრამით მოვიდა: გაჭირვებულ ებრაელთა დახმარება, ებრაული კულტურის და რელიგიის განახლება და დაფუძნება, რაც წინაპირობა იქნება ებრაული თემის ჩამოყალიბებისა.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: თუ არა ჯოინთის გამოწვდილი ხელი, ბევრი მოხუცებული ვერ გადაურჩებოდა იმ მძიმე ჟამს, რომელიც საქართველოში სუფევდა.

90-იანი წლების განმავლობაში საბჭოთა რეჟიმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში იქმნება ებრაული კონგრესები. ეს კონგრესები ცდილობენ იღვაწონ ადგილობრივი თემების სასიკეთოდ და ნაწილობრივ ჯოინთის ფუნქციები შეითავსონ.

ამავე მიზნით (ასე სწამდა ბევრს) შეიქმნა სემკ-ი. ეს იყო ახალი ეტაპი საქართველოს ებრაელობის ისტორიაში და პირველი მცდელობა ერთი მიზნით გაერთიანებისა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დასახული პროგრამა ძალიან ფართო იყო და მისი განხორციელება თავიდანვე ეჭვს ბადებდა. ძირითადი მაინც საქართველოში დარჩენილი ებრაელობის დახმარება უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, სემკ-მა დასახული მიზნების მხოლოდ პოპულისტური მხარე აირჩია, საქართველოში დარჩენილი ებრაელობა მძიმე რეალობასთან პირისპირ, მარტო აღმოჩნდა და მისი ძირითადი მხსნელი ჯოინთი დარჩა. 1997 წელს ,,ხესედ ელიაჰუს,“ ხოლო 2003 წელს ჯოინთის დახმარებით ბეით იეუდის გახსნით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ებრაული თემის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოში, ჯოინთში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ამ გაზეთის — „მენორა“-ს — ფურცლებზე ერთ-ერთ ინტერვიუში, ასეთი შეკითხვა დამისვეს:

— თუ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოში არის ებრაული თემი?

ჩემი პასუხი ასეთი იყო:

— თემის არსებობა არ ნიშნავს იყოს რამდენიმე ებრაული ორგანიზაცია, რომელნიც უცხოური ებრაული ორგანიზაციების დაფინანსებით მოქმედებენ. თემის ყოფის რაობა და ღირსება განისაზღვრება იმით, თუ მას ძალუძს მარტოს, დამოუკიდებლად (გაერთიანებული ხელმძღვანელობით) საქმიანობდეს და ეხმარებოდეს გაჭირვებულთ, თემს საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. თემის წინაშე წამოჭრილი პრობლემების შესრულება კი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ გაერთიანება თვითდაფინანსებას შესძლებს.

სამწუხაროა, რომ ეს გარემოება აღმოჩნდა თბილისის ებრაულ თემში დღეს შექმნილი კრიზისის — ბეით იეუდის დახურვის საფუძველი. თუმცა, ამას არც ერთი მხარე არ აღიარებს.

ებრაული სახლის დახურვა, სრული და შეურყეველი რეზულტატია იმ დაუგეგმავი მოქმედებისა, რომელიც საქართველოში მცხოვრებმა ებრაელობამ და სემკ-მა აირჩია.

რედაქტორის მინაწერი: მენახემ ელაზარს (აქოშვილს) „მენორას“ მკითხველის წინაშე წარსდგენა არ სჭირდება, მაგრამ ახალი თაობის გასაგონად მაინც მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა მასზე:

ჯოინთის წარმომადგენლობა საქართველოში მენახემ ელაზარმა გახსნა. აქ მისი ყოველი დღე გამსჭვალული გახლდათ საქართველოს ებრაელობაზე ზრუნვით, მას შეცნობილი ჰქონდა თავისი ყოველი ნაბიჯის მნიშვნელობა და მოქმედებდა მხოლოდ თემის ინტერესებიდან გამომდინარე. იღვწოდა უშურველად, სუფთა გულით. „მენორასათვის“ გამოგზავნილი წერილის ანი და ჰოეც ხომ საქართველოს ებრაელობის საზოგადოებრივი აზროვნების სწორედ წარმართვაა. მას უყვარს ჩვენი ებრაელობა და ეს სიყვარული ალაპარაკებს სიმართლეს, რომლის გაგონებაც იმ პოპულისტურ ალიაქოთში აპრილში რომ დაატრიალეს საქართველოს ებრაელობაში, მის მომწყობთ არ ეწადათ. არადა, ითქვა ყურადსაღები სიმართლე – მაიკლ შტაინერმა ჩემთან სატელეფონო საუბარში არ დამალა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო სათემო სახლის დახურვის მიზეზი. ჩვენში კი მაინც, როგორც მენახემ ელაზარი წერს, ძალისმიერი მეთოდით ცდილობდნენ პრობლემის გადაჭრას. ამ გარემოებამ კი თვალნათელი გახადა: ლიდერობის პრეტენზიის მქონე ადამიანთა საზოგადოებრივი აზროვნება საგრძნობლად ჩამორჩება თანამედროვე, გნებავთ, ზოგადებრაულ აზროვნებას.

მენახემ ელაზარი საუბრობს სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში შექმნილ ებრაელთა კონგრესებზე (უკრაინის, რუსეთის, ყაზახეთის ებრაელთა კონგრესები და ა.შ.) და აღნიშნავს თემის პრობლემებს ჯოინთთან ერთად ისინი უვლიანო. სავსებით სწორი მოსაზრებაა, მაგრამ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან დაკავშირებით გამოთქმულ საყვედურს ვერ გავიზიარებ: უკრაინის, რუსეთის, თუ სხვა ქვეყნების კონგრესები რეგიონალური ორგანიზაციებია და ისინი სწორედ ჯოინთთან ხელიხელ ჩაკიდებულნი აგვარებენ სათემო საკითხებს. სემკ-ი კი რეგიონალური ორგანიზაცია არ არის. სემკ-ი არა ერთი, რამდენიმე ქვეყნის — სამ კონტინენტზე მცხოვრებ ქართველ ებრაელობას აერთიანებს. იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, რაზეც მენახემ ელაზარი წერს, რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის, თუ სხვა სახელმწიფოებში შექმნილი კონგრესების ანალოგიურად საქართველოში შექმნილი რეგიონალური კონგრესის პრეროგატივა იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურვილი ექნებოდათ, მსგავსად რაბინოვიჩებისა, მირელაშვილებისა, მაშკევიჩებისა, თუ გუსინსკებისა, თავიანთი მონაპოვარის ერთი ნაწილი ხალხისთვის მოეხმარებინათ. მე იმედი მაქვს, ასეთი ადამიანები საქართველოშიც მალე გამოჩნდებიან.

ებრაული სათემო სახლის შექმნის პირველ ეტაპზე სემკ-მა თავისი ფინანსური წვლილი შეიტანა მის დაფინანსებაში და დროდადრო დღესაც ცდილობს თუნდაც მცირე ყურადღება არ მოაკლოს საქართველოს ებრაულ ორგანიზაციებს, მათს შორის ებრაულ სახლსაც. ხოლო ხელმოკლეთ და უქონელთ იგი დღესაც შველის ყოველი შაბათის ღირსეულად მიგებებაში. სემკ-ის გამოისობით დღეს თბილისში არცერთი ებრაული ოჯახი დაზაფრული არ ელოდება შაბათის შემობრძანებას ოჯახი რით დავაპუროო.

ერთობ საყურადღებოა მენახემ ელაზარის შეხსენება თემის რაობისა. რასაკვირველია, ყოველმა თემმა თავად უნდა მოუაროს თავის პრობლემებს. ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ისინი არა მხოლოდ თემის წინაშე წამოჭრილ გასაჭირს აგვარებდნენ, სხვებსაც უწევდნენ სერიოზულ ფინანსურ დახმარებას. მე არა ვგონებ, ბოლშევიზმის ეპოქაში უფრო იოლი იყო თემის (სხვა თემებისაც კი!) მისწრაფებების დაკმაყოფილება, ვიდრე ეს დღეს არის.ბევრი ჩვენი ახალი, თუ ძველი თაობის ბიზნესმენის, გნებავთ ეროვნული, გნებავთ რელიგიური მეობა რით არის ნაკლები ვინმე იოსებ მილერისა, თუ გაბრიელ ალგემანის მეობაზე? მთავარი მონდომებაა. მთავარია გააზრებული მოქმედება და არა ისეთი პოპულისტური ალიაქოთი, როგორიც აპრილში და მაისის დამდეგს მოეწყო საქართველოში – პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით, „მიწოლით“ გადაჭრის მცდელობა.

ამის დადასტურება გახლდათ ებრაულ სახლთან სოლიდარობის კომიტეტის მიერ 16 აპრილს ბეით ქნესეთში გამართული აქცია, სადაც ყველაფერი გაკეთდა არა ისე, როგორც უნდა გაკეთებულიყო, არამედ პირუკუ.

ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი აცხადებს:

— შესწავლილ იქნას, თუ როგორ მოხდა თბილისის ებრაული თემისათვის ნაჩუქარი სახლი აშშ ჯოინთის ბალანსზე.

მის ამ შეკითხვას იმ საღამოს ვერავინ უპასუხებდა, გარდა ერთი ადამიანისა. ის კი სდუმდა. არადა, ის იყო ჯოინთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მაშინ, როცა ებრაული სახლი ექსპლუატაციაში შევიდა. დღეს კი ებრაული სახლის გადარჩენის კომიტეტის ხელმძღვანელია. შეკითხვა დღესაც პასუხგაუცემელია. არადა, უნდა თქმულიყო შეკითხვა იყო პოპულისტური, თუ ჯოინთია ასეთი ვერაგი? მას რომ ამ შეკითხვაზე პასუხი გაეცა, ყველაფერი უცებ გახდებოდა ცხადი, ეს კრებაც არ გაიმართებოდა და პოპულიზმით ვერც ქულებს დაიწერდნენ.

მეორე ორგანიზატორი პოპულისტური აურზაურისა აცხადებს:

— ჯოინთს ვაცალოთ პირველ მაისამდე, თუ პირველ მაისამდე სახლს არ დაგვიბრუნებს, 4 მაისს დღის 12 საათზე ჩვენ ყველა ერთად შევალთ იმ სახლში. ყველანი მოხვალთ ოჯახებით, მეგობრებით, აღტკინებით!

და კიდევ:

— აშერ ოსტრინმა კი წეროს და იკითხოს, რამდენიც უნდა!

მესამე:

— სისხლი დაიღვრება, უსათუოდ დაიღვრება სისხლი, ჩვენ ამ სახლს უსისხლოდ არ დავთმობთ. იმათ კუბოებს წაიღებენ აქედან!

(ამ ადამიანთა გვარებს საგანგებოდ არ ვასახელებ -- ჩემთვის მთავარი ამ ადამიანთა მხილება, კრიტიკა კი არ არის, ტენდენციას მივიჩნევ სამარცხვინოდ, თემის ღირსების დამამცირებლად, ხოლო თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება მოყვანილი ციტატების სიზუსტეში, შეგვიძლია შევახსენოთ, რომ არსებობს საღამოს ვიდეოჩანაწერი DVD დისკის სახით).

ერთი ღირსეული ბიზნესმენი, საქმიანი სიტყვის გასაგონად რომ მოვიდა, ადგილიდან დგება:

— არა, ძმაო, ეს საქმე ასე არ გამოვა! – და დარბაზს ტოვებს.

5 მაისს კი გამოაცხადეს ჯოინთი დავაჩოქეთ, სახლი ორ კვირაში გაიხსნებაო. ხუთი კვირაც გავიდა.

რევაზ სეფიაშვილი
იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტი

ეს ნომრიც გმირი

ინსტიტუტის დირექტორი — რევაზ ისმაილის ძე სეფიაშვილი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრის გამგე, იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის პრეზიდენტი, მთავარი რედაქტორი ჟურნალებისა „ალერგია და იმუნოლოგია“, „International journal on ummunorehabilitation,“ „იმუნოფიზიოლოგია, იმუნორეაბილიტოლოგია. კლინიკური ალერგოლოგია და იმუნოლოგია,“ „ასთმა,“ „Journal of the world allergy organization, Russian edition,“ არსებული სადოქტორო და საკანდიდატო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (ალერგოლოგიის და იმუნოლოგიის დარგში), დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგიური საზოგადოებების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ავტორია 350-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება იმუნური სისტემის ფიზიოლოგიის, იმუნორეაბილიტოლოგიის, კლინიკური იმუნოლოგიისა და ნეიროიმუნოფიზიოლოგიის პრობლემატიკას.

დაიბადა 1955 წლის 24 იანვარს ქუთაისში, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში. დაამთავრა კრასნოდარის სამედიცინო უნივერსიტეტი. 33 წლისა მეცნიერებათა დოქტორი გახდა, 43-ის — პროფესორი, 44-ისა კი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, იგი ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიისა, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის იმ ინსტიტუტისა, წყალტუბოში რომ მდებარეობს. რ.ი. სეფიაშვილი არჩეულია კრასნოდარისა და ნოვოსიბირსკის სამედიცინო ინსტიტუტების, როსტოვის, ალმა-ათისა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტების საპატიო პროფესორად. არის ამერიკული კოლეჯის და ალერგოლოგიის, ასთმის და იმუნოლოგიის ამერიკული აკადემიის, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული აკადემიის საპატიო წევრი. 2002 წლიდან გვევლინება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტად.

თავისუფლად ფლობს რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებს. შეკითხვაზე, თუ რა ჰობი გააჩნია, ერთგვარი მობოდიშებით პასუხობს: „უსაქმოდ ყოფნა ერთი წუთითაც არ შემიძლია. ჩემი ჰობი ჩემი სამუშაოა, იმის კეთებაა, რასაც ადამიანებისთვის, მართლაც, რომ ფასეული შედეგი მოაქვს.“

ბავშვობაში ბატონი რევაზი, ისევე, როგორც იმდროინდელი ყველა მოზარდი, კოსმონავტობაზე ან მილიციონერობაზე ოცნებობდა. მერე იურისტობა მოუნდა. აი, 15 წლის ასაკში კი მედიცინისაკენ გაუწია გულმა. ამაში თავისი წვლილი დედამ შეიტანა, რომელიც მედდა იყო და ოცნებობდა ვაჟიშვილები ექიმებად ეხილა. ასეც მოხდა: სამივე ვაჟი მედიკოსი გახდა, აქედან ერთი — აკადემიკოსი, ორი კი — პროფესორი. მაგრამ არჩეული პროფესიისადმი ნამდვილი სიყვარული და ლტოლვა ბატონ რევაზს მხოლოდ მესამე კურსის სტუდენტობისას გაუღვივდა, როდესაც არაჩვეულებრივ პედაგოგს — პროფესორ რ.ბ. ცინკალოვსკის შეხვდა. მის მეორე მასწავლებლად კი, უკვე მოსკოვში აკადემიკოსი რემ ვიქტორის ძე პეტროვი იქცა. „ამ ადამიანებმა უდიდესი როლი ითამაშეს ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში, — აცხადებს ბატონი რევაზი. მათ შთამინერგეს მეცნიერების სიყვარული. მრავალი წლის მანძილზე ჩვენ ერთად ვაგრძელებდით მეცნიერულ კვლევას. სამწუხაროდ, როსტისლავ ბორისის ძე დღეს აღარაა ცოცხალი.“

ყოველივე პროგრესული, როგორც წესი, ფუნდამენტური მეცნიერებისა და კლინიკური პრაქტიკის შერწყმისას იბადება. მათი ურთიერთზემოქმედებისას ხომ იზრდება ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხი. დღესდღეობით უკვე „გადადებულ“ ავადმყოფთა ძალიან დიდი რაოდენობის გადარჩენა ხერხდება. სტატისტიკის ბოლო მონაცემებით კი სიცოცხლის ხანგრძლივობაც იზრდება. აკადემიკოს რ.ი. სეფიაშვილის ხელმძღვანელობით აი უკვე 15 წელზე მეტია, რაც იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტში წარმატებით ხორციელდება როგორც ფუნდამენტური, ისე კლინიკური გამოკვლევანი.

— რევაზ ისმაილის ძევ, 2008 წელს იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტს დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. რისი გაკეთება მოასწარით ამ ხნის მანძილზე?

— ყალბი მორცხვობის გარეშე უნდა განვაცხადო, რომ ბევრი რამ მოვასწარით! დღეს იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტი გახლავთ XXI საუკუნის მოწინავე ტექნოლოგიებით და თანამედროვე აღჭურვილობით გამორჩეული უნიკალური სამეცნიერო-პრაქტიკული, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულება, სადაც მუშაობენ წამყვანი მეცნიერები — აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები. თითოეულ მათგანს გააჩნია საერთაშორისო სერთიფიკატი და მრავალწლიანი სამეცნიერო და კლინიკური მოღვაწეობის გამოცდილება. ინსტიტუტში ტარდება ფუნდამენტური გამოკვლევანი იმუნური სისტემის ფიზიოლოგიის, მოლეკულური და კლინიკური იმუნოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის, იმუნორეაბილიტოლოგიის, უჯრედოვანი ტექნოლოგიების სფეროში. სწორედ აქ მუშავდება დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროგრამები. სხვადასხვა აუტოიმუნური, იმუნოდეფიციტური, ალერგიული, კანის დაავადებების, ასთმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ინსტიტუტს მინიჭებული აქვს პრესტიჟული პროფესიული ჯილდო „პროფესია — ცხოვრება.“

ინსტიტუტის ბაზაზე განთავსებულია მრავალპროფილური ევროპული საპროფესორო კლინიკა, ერთ-ერთი წამყვანი კლინიკა რუსეთსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. აქვეა სპეციალიზირებული ლაბორატორია „ევროლაბი“, სადაც ტარდება 850 ყველა სახის გამოკვლევა. ჩვენს ფრთებქვეშ მუშაობს რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. მიმაჩნია, რომ რუსეთში თქვენ ძნელად თუ ნახავთ მეორე კათედრას, სადაც ერთდროულად 6 პროფესორი მუშაობდეს. ამ პროფესიონალებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი ტატიანა ალექსანდრეს ასულ სლავიანსკაიას — ჩემს მოადგილეს ინსტიტუტში. იგი ცნობილი მეცნიერია არა მარტო რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქალბატონი ტატიანა იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციისა და დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის გენერალური მდივანია. მის გარდა აღნიშვნის ღირსნი არიან ჩვენი სხვა პროფესორებიც — ირინა პეტრეს ასული ბალმასოვა, ირინა ვადიმის ასული ნესტეროვა, დალი შოთას ასული მაჭარაძე, ალა მიხეილის ასული ბორისოვა.



ინსტიტუტის ბაზაზე საქმიანობს სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დამცველი სპეციალიზირებული სადისერტაციო საბჭო (ალერგოლოგიის და იმუნოლოგიის სპეციალობა). ჩვენთან აქტიურად მუშაობს აგრეთვე სამი საერთაშორისო ორგანიზაცია — იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია, დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირი და დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგიური საზოგადოებების კავშირი. მათი ოფისები ჩვენს ინსტიტუტშია განთავსებული. ამას გარდა, ჩვენ გამოვცემთ ხუთ წამყვან სამეცნიერო ჟურნალს, რომელთაგან სამი („ალერგოლოგია და იმუნოლოგია“, „ასთმა“, „International journal on immunorehabilitation“) ჩართულია -ის იმ ჩამონათვალში, რომელიც რეკომენდირებულნი არიან სადისერტაციო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა „Journal of the world allergy organization Russian edition,“ და „International journal on immunorehabilitation.“ რედაქცია ამ ჟურნალებისა, აგრეთვე რეფერატიული ჟურნალებისა „РЖ ВИНИТИ РАН-იმუნოფიზიოლოგია, იმუნორეაბილიტოლოგია. კლინიკური იმუნოლოგია და ალერგოლოგია“ ასევე განთავსებულია იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტში და მე ვარ მათი მთავარი რედაქტორი.

ასე რომ, ჩვენ შევძელით ინსტიტუტის კედლებში შეგვეკრიბა პრაქტიკული სამამულო მეცნიერების მთელი ნაღები, ყველა, ვინც კი ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის პრობლემებითაა დაკავებული.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ზოგიერთი მძიმე დაავადების მკურნალობის XXI საუკუნის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება. მხედველობაში ის დაავადებანი მაქვს, რომელსაც იმუნური დარღვევები იწვევს. მეორე მიმართულებას ალერგოლოგიის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემუშავება წარმოადგენს. ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს აგრეთვე ექსპერიმენტული გამოკვლევების სფეროში, რომელთა მიზანია ლულოვანი უჯრედების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენება. ამავე დროს, ჩვენი ინსტიტუტი პიონერია მედიცინის მეცნიერების იმ სრულიად ახალი მიმართულებისა, როგორიცაა იმუნორეაბილიტოლოგია, ჩვენი ინსტიტუტის კედლებში რომ ჩაისახა. დიახ, ჩვენ შევძელით შეთავაზება იმუნური სისტემის დარღვევის მქონე ავადმყოფების ეტაპობრივი მკურნალობისა, როგორც კლინიკურ, ისე სანატორიულ-საკურორტო და ამბულატორიულ პირობებში.

ინსტიტუტში ტარდება ფუნდამენტური გამოკვლევანი იმუნოფიზიოლოგიის დარგში, ვიკვლევთ მრავალი დაავადების განვითარების მექანიზმებს. ასე მაგალითად, კლინიკური იმუნოლოგიის დარგში ჩვენს შეთავაზებას წარმოადგენს იმუნომოდულატორების (ეს ის ნივთიერებანი გახლავთ, რომლებიც ზემოქმედებენ იმუნური სისტემის მუშაობაზე) პირველი კლასიფიკაცია. ჩვენ ყველას ვაჩვენეთ დიფერენციული დიაგნოსტი-

→ მე-6 გვ.

(დასასრული)

კის შესაძლებლობანი, აგრეთვე გამოყენება სხვადასხვა იმუნომოდულატორისა იმ დაავადებების მკურნალობისას, რომელსაც იწვევს იმუნური სისტემის მუშაობის დარღვევა. ინსტიტუტი ლიდერია ასთმის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემატიკაშიც. ამ დარგში ჩვენ საკუთარი საავტორო მეთოდიკა გვაქვს. აქტიურად ვიკვლევთ ალერგიებისა და იმუნოდეფიციტების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. დიდ წარმატებებს მივაღწიეთ პერპესოვირუსული ინფექციების მკურნალობაში.

კ. — ბევრი მედიკოსი წუწუნებს იმის გამო, რომ რუსეთში ძალზე ნელა ვითარდება ფუნდამენტური გამოკვლევანი. კატეგორიულადაც კი აცხადებენ: დღესდღეობით რუსეთში არ არსებობს შესაძლებლობა ფუნდამენტური მეცნიერების წინსვლისათვის. ამის მიუხედავად, თქვენი ინსტიტუტი ამას ახერხებს! გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება.

— იცით, კაცმა რომ თქვას, ყველა დიდი საქმე ძალზე ძნელად კეთდება. მაგრამ თუ ადამიანი ერთგულია თავისი მოწოდებისა, იგი აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

ისე, თუ გულწრფელნი ვიქნებით, რუსეთში ფუნდამენტური მეცნიერების წარმატებანი არც ისე ბევრია. და ყოველივე ეს პირდაპირ კავშირშია მეცნიერების დაფინანსებასთან. მართალია, რუსეთში ადრეც შეინიშნებოდა პრობლემები ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებაში, მაგრამ ახლა გამოჩნდა დიდი შესაძლებლობანი მეცნიერების გასავითარებლად.

კ. — თქვენ საუბრობდით ინსტიტუტის აქტიურ თანამშრომლობაზე მსოფლიოს სამეცნიერო თანამეგობრობასთან. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამ კავშირებზე.

— იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტი ახორციელებს ერთობლივ სამეცნიერო პროექტებს მთელი მსოფლიოს უმსხვილეს უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან. ინსტიტუტის პარტნიორთა შორისაა ბოტეზდეს ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი (აშშ), ჰარვარდის, ვაშინგტონის, ლოს-ანჯელესის და ჩარლსტონის (აშშ), ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი), ციურიხის (შვეიცარია), გენტის (ბელგია), ბერგენის (ნორვეგია), იერუსალიმის (ისრაელი), სიდნეის (ავსტრალია), რომის (იტალია) უნივერსიტეტები.

რ. სეფიაშვილი ნობელიანტ მეცნიერებთან რ. ცინკერნაგელთან (მარცხნივ) და პ. დოხერტისთან იმუნოლოგთა მსოფლიო კონგრესზე რიო-დეჟანეიროში

მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ჩვენი მოწვევით არა ერთხელ ჩამოსულან მოსკოვში როგორც ერთობლივი კვლევების ჩასატარებლად, ისე ლექციების წასაკითხად. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ ნობელის პრემიის ლაურეატები, პროფესორები რ. ცირკერნაგელი შვეიცარიიდან და პ. დოხერტი ავსტრალიიდან, აგრეთვე პროფესორები ა. კაპლანი (აშშ), ვ. კანონიკა (იტალია), კ. კატელარისი (ავსტრალია), ა. ფრიუ (დიდი ბრიტანეთი), ლ. დუბასკი (აშშ), კ. ბაენა-კოგნანი (არგენტინა), ნ. ხალტაევა (შვეიცარია), ს. რომაგნანი (იტალია). ამ სიის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ისინი არა მარტო მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები არიან, არამედ წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებიც, ისეთებისა, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ალერგოლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია, ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული აკადემია, ასთმის მსოფლიო ასოციაცია, ალერგოლოგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული აკადემია, ალერგოლოგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული კოლეჯი, იმუნოლოგიული საზოგადოებების საერთაშორისო კავშირი, იმუნოლოგიური საზოგადოებების ევროპული ფედერაცია, კლინიკური იმუნოლოგიის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია და მრავალი სხვა.

გარდა ამისა, ჩვენი მეცნიერები (პროფესორები და ახალგაზრდა მკვლევარები) თავად მიემგზავრებიან საპასუხო ვიზიტებით მათთან საერთო კვლევების გასაგრძელებლად და ლექციების წასაკითხად.

ინსტიტუტის ეგიდით უკვე ჩატარდა 30-ზე მეტი მსოფლიო, ევროპისა და ეროვნული სამეცნიერო ფორუმი. ასე მაგალითად, 2001 წელს მოსკოვში ჩატარდა ასთმისადმი მიძღვნილი მსოფლიო ფორუმი, 2003 წელს სანკტ-პეტერბურგში ასევე ასთმისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესი, ხოლო 2004 და 2007 წლებში მოსკოვმა უმასპინძლა იმუნოპათოლოგიისა და ალერგიის მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს. წელს იმუნოპათოლოგიისა და ალერგიის მსოფლიო კონგრესზე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მსოფლიოს 84 ქვეყნიდან 3000-ზე მეტი მონაწილე ჩამოვიდა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ინსტიტუტი მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორია უკანასკნელ წლებში რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის დარგში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებების უმრავლესობისა. ყოველივე ეს კი იმის მაუწყებელია, რომ იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტი მსოფლიოში ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია.

კ. — შეიძლება ზემოთქმულიდან იმის დასკვნა, რომ არა მარტო თქვენი ინსტიტუტი, არამედ მთლიანად რუსეთის მეცნიერებაც მოწინავე პოზიციებზე იმყოფება იმუნური სისტემის კვლევის დარგში?

— ულაპარაკოდ. როდესაც საუბარია რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში ალერგოლოგიასა და იმუნოლოგიაზე, ეს ყოველთვის ასოცირდება ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობასთანაც. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მიღწევებითაც და სიამოვნებით ვუზიარებთ მათ კოლეგებს მთელ მსოფლიოში. მეცნიერებას ეროვნება არ გააჩნია! მიმაჩნია, რომ მეცნიერების მიღწევები სრულიად კაცობრიობას ეკუთვნის. ყველა სამეცნიერო მიღწევა მსოფლიოს ნებისმიერი მეცნიერისთვის უნდა იქცეს ხელმისაწვდომად, რათა მათი ნაყოფით ადამიანებმა ისარგებლონ. ჩვენი ინსტიტუტიც და დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირიც, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, საზღვარგარეთ სამამულო მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდასა და დანერგვას ემსახურება. ამას გარდა, ჩვენ ვართ ინიციატორები დსთ-ს ყველა ქვეყანაში ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა საზოგადოების შექმნისა, რომლებიც შემდეგ დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირში გაერთიანდნენ. ამას მოჰყვა ის, რომ ეს კავშირი ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა მსოფლიო და ევროპის ორგანიზაციებში გაწევრიანდა.

კ. — საინტერესოა, პირადად თქვენ რა უფრო გაინტერესებთ, კლინიკური თუ ფუნდამენტური ძიებანი?

— მე დიდი ინტერესით ვმონაწილეობ როგორც ფუნდამენტურ, ისე კლინიკური გამოკვლევებში. ყოველთვის მაინტერესებდა და დღესაც მაინტერესებს თუნდაც რამდენიმე ნაბიჯით წინ სიარული, მაინტერესებს იმის გაგება, იმის განცდა, თუ რის გაკეთებას შევძლებთ უახლოეს მომავალში.

კ. — რაზე ოცნებობთ?

— მინდა, რომ ქვეყანაში მშვიდობა სუფევდეს, რომ ბავშვები ჯანმრთელნი იზრდებოდნენ, რომ სიხარული იყოს მათი თანამგზავრი. ვოცნებობ იმაზე, ინსტიტუტის ყველა შემოქმედებითი გეგმა განხორციელებულიყოს და გვეამაყებოდეს, რომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია! და კიდევ, ვოცნებობ იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრმა გამოჯანმრთელებულმა ადამიანმა თქვას უბრალოზე უბრალო სიტყვები: „გმადლობთ, ექიმო!“

„დელოვაია სტოლიცა“
2007 წ. №10
სპეციალური გამოშვება

ჭეშმარიტ არაჟინგ დაჭეშდა

გოლდა მეირი

ისრაელი შექმნის დღიდან არაერთხელ ყოფილა აგრესიის ობიექტი. სახელმწიფო არაერთხელ მდგარა ძლიერი საფრთხის წინაშე. გოლდა მეირის წიგნის წინამდებარე ნაკვეთი მოგვითხრობს სწორედ იმაზე 1967 წელს, თუ რა საფრთხეს უმზადებდნენ არაბული ქვეყნები ისრაელს, და იმაზეც, ებრაულმა აზრმა თუ როგორ გადაარჩინა სახელმწიფო.

წინა თვეებში ნაჩვევი ცხოვრება მაისს თან გაჰყვა. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ერთი დღე ორს იტევდა. ყოველი საათი უსასრულოდ გრძელდებოდა, ზაფხული დგებოდა, სიცხეები დაიჭირა, მეც ისე მოვიქეცი, როგორც სხვები ირჯებოდნენ: ძალიან საჭირო საგნებს, ის, რაც თავშესაფარში დაგვჭირდებოდა, ერთად მოვუყარე თავი, ერთ ტომარაში მოვაქციე და ისე დავდგი, განგაშის გამოცხადებისთანავე რომ წამევლო ხელი, ერთ ოთახში ფანჯრებს ქსოვილები ავაფარე, რომ შუქი არ გასულიყო. სარასა და ბავშვების მოსანახულებლად რევვიმს წავედი. შევცქეროდი ჩემთვის დაბადებიდანვე ნაცნობი კიბუცი რაოდენ მშვიდად ემზადებოდა არაბთა თავდასხმისათვის. ამ თავდასხმას კი შეიძლებოდა კიბუცი ნანგრევებად ექცია.

საათი წიკწიკებდა, ჩვენ კი ველოდით, ველოდით.

სხვა სამზადისიც იყო, საშინელი სამზადისი, მაგრამ იგი გასაიდუმლოებული გახლდათ.

მთელ ქვეყანაში პარკები აკურთხეს. იქნებ, მასიურ სასაფლაო დაგვჭირდესო. სასტუმროები გამოვათავისუფლეთ, რადგან პირველი დახმარების პუნქტებად გამოგვადგებოდა, გავამზადეთ ხელუხლებელი მარაგი იმ შემთხვევისთვის, თუ მოსახლეობის ცენტრალიზებული მომარაგება გახდებოდა საჭირო, წამლები, გადასახვევი მასალები, საკაცეები უკვე მივიღეთ და დავანაწილეთ, მაგრამ მთავარი მაინც საომარი მოქმედებისათვის მზადება გახლდათ. ყოველი ისრაელელი უკვე ჩასწვდა, რომ არავინ იყო ჩვენი მშველელი — მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონოდა და მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა გვეფიქრა. იმ დღეებზე რომ ვფიქრობ, პირველი, რაც მაგონდება, ეს არის საოცარი ერთიანობა და მიზანსწრაფულობა. სწორედ ამ თვისებებმა ერთი პატარა თემი, რომელიც ძნელად იტანდა ყოველგვარ ეკონომიკურ, პოლიტიკურსა თუ სოციალურ უსიამოვნებებს, რამდენიმე დღეში ორნახევარ მილიონ ებრაელად აქცია. და ყოველი მათგანი, ყოველი ისრაელელი გრძნობდა პირად პასუხისმგებლობას ისრაელის გადასარჩენად. ყოველმა ისრაელელმა იცოდა, რომ ჩვენმა მტერმა შეჰფიცა ყოველი ჩვენგანის მოსპობა.

ასე რომ, ჩვენს წინაშე საკითხი არ იდგა ისე, როგორც დგას ხოლმე ზოგიერთი სახელმწიფოს წინაშე — იქნებ, ამ გარდაუვალ ომში რაც შეიძლება ნაკლებად დავზარალდეთო. არა, ჩვენს წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა, მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა არსებობის საშუალებას. მთელი ქვეყანა ერთ ოჯახად იქცა. და ამ ოჯახს გადაუწყვეტია: არც ერთი ნაბიჯი უკან! სადღაც გაქრა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ყველა უთანხმოება, რაც ჩვენს შორის არსებობდა. მოლოდინის, კვირეების განმავლობაში არც ერთ ებრაელს არ დაუტოვებია ისრაელი. გოლანის მაღლობთა ირგვლივ განლაგებული ებრაული სოფლებიდან არც ერთ დედას არ დაუვლია ხელი თავისი შვილისთვის და არსად არ წაუყვანია, შვილი მაინც გადავარჩინოო. ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების არც ერთ ყოფილ ტყვეს არ უთქვამს: მე ისედაც ბევრი გადავიტანე და საკმარისიაო. რამდენმა მათგანმა დაჰკარგა შვილი ამგვარ ბანაკებში? უცხოეთის ქვეყნებში საქმეებზე გამგზავრებული ასობით ისრაელელი შინ მობრუნდა, თუმცა, არავის გამოუცხადებია დაბრუნდითო. ისინი დაბრუნდნენ იმიტომ, რომ განსაცდელის ჟამს თავიანთ სამშობლოში უნდა ყოფილიყვნენ.

უფრო მეტიც — მსოფლიოს ებრაელობა ხედავდა, რაოდენ საფრთხეშია ვიყავით, ხედავდა, როგორ მიგვატოვა ყველამ, როგორ გვაქციეს ზურგი. და იქნებ, პირველადაც კი ჩავარდა საგონებელში: ისრაელმა, როგორც სახელმწიფომ რომ არსებობა შეწყვიტოს, რა გვეშველება? ამ კითხვას მხოლოდ ერთ, ერთადერთ პასუხს მიაგებენ: თუ ისრაელი მოისპობა, დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ებრაელი ვეღარ იგრძნობს თავისუფლებას. ომის შემდეგ, უფრო სწორედ ომის ბოლო დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გავფრინდი, რათა გამოვსულიყავი უზარმაზარ მიტინგზე, რომელიც მედისონ სკვერ გარდენში ებრაულმა ორგანიზაციამ მოაწყო. აშშ-ში პროგრამა ისე შემიდგინეს, რომ ძალიან ცოტა დრო მქონდა, ერთ წუთსაც ვერ ვიცლიდი.

(გაგრძელება. დასაწყისი № 9, 10)

ნასო

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება

საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი

კვირის საკითხავი თავი „ნასო“ ყველაზე დიდია თორის 54 თავს შორის, მასში 176 ფასუქია (წინადადება). საინტერესოა, რომ თეჰილიმში , მეფე დავითის ფსალმუნში, 119-ე ფსალმუნიც ასევე 176 წინადადებას შეიცავს, ზეპირ თორაში კი ტრაქტატი "ბავა ბატრაა" ყველაზე დიდი და ისიც 176 გვერდს მოიცავს.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაა ეს თავი ასეთი დიდი, ისაა, რომ მას შაბუყოთის – თორის ბოძების შემდეგ შაბათს კითხულობენ და, ამ დღესთან ასეთი სიახლოვის გამო აუცილებელია განსაკუთრებით განიმსჭვალოს ებრაელთა სულები თორის სიტყვებით.

რა თქმა უნდა, სულ ცოტა ხნის წინანდელი დღესასწაული „შაბუყოთი“ თორის ბოძების დღე – ებრაელი ხალხის უდიდესი დღესასწაულია. ამ დღის გარეშე, როცა ჩვენ ხალხად ჩამოვყალიბდით, ებრაელები ვერ იარსებებდნენ. თორა ხომ ჩვენი სულია და მის გარეშე ვერ შევძლებდით არსებობას. ხანდახან გვესმის, რომ ჩვენს, მოდერნიზაციის ეპოქაში" თორასაც სჭირდება, გამჩენმა ნუ ქნას, მოდერნიზაცია. ასეთი ხმების გასაბათილებლად მინდა ერთი ისტორია გიამბოთ: ოდესღაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ არ იყო ფეხსაცმლის ფაბრიკები. ვისაც ფეხსაცმელი სჭირდებოდა, ხარაზს უკვეთავდა.

ერთმა ებრაელმა თავისი ვაჟი მეწაღესთან მიიყვანა ფესახისათვის ახალი ფეხსაცმლის შესაკერად. ბიჭს ფეხსაცმელი სიზმარში ელანდებოდა და უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ ჩაიცმევდა ფესახში, წავიდოდა სინაგოგაში და ყველას გააკვირვებდა ლამაზი ფეხსაცმლით. იგი ძალზე ბედნიერი იყო, როცა მამამ გასასინჯად წაიყვანა. მართლაც, შესანიშნავი ფეხსაცმელი გამოვიდა, ბიჭმა მოიზომა ისინი და აღმოჩნდა, რომ მარჯვენა ზუსტად ჰქონდა, მარცხენა კი იმდენად პატარა იყო, რომ ვერც კი იცმევდა. მეწაღემ დაგრძელება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლის შეკერვა გახდა საჭირო, მაგრამ უკვე ფესახისთვის აღარ ესწრებოდა. ბიჭს ისტერიკა დაემართა, მისი ყველა ოცნება ხუხულასავით დაინგრა. მამა მეწაღეს ეხვეწებოდა, იქნებ რაიმეს მოფიქრება შეიძლებაო. უცებ მეწაღემ გახარებულმა წამოიძახა: „უნდა მოვაჭრათ ცერი თითი, რომელიც უშლის“. აქ უკვე მამა განრისხდა და დაუყვირა: „გადარეულზე გადარეული ხარ!“.

ფეხსაცმელი უნდა მოერგოს ფეხს და არა ფეხი - მას. ასევე არიან ისინიც, ვინც ცდილობს თორის კანონები ჩვენს თაობას მოარგონ: აქ ჩამოვაჭრათ, იქ შევცვალოთ, გამჩენმა ნუ ქნას. ჩამოვაჭრათ, შევასწოროთ, შევცვალოთ ჩვენი სულები. ეს „ჭკვიანები“ იმ მეწაღეს ჰგვანან. ეს არაა ებრაული გზა.

მანამ, სანამ ებრაელებს მისცემდა, გამჩენმა თორა სხვა ხალხებს შესთავაზა. ყველა ეკითხებოდა, თუ რა ეწერა მასში. გამჩენი მათ ერთ რომელიმე მცნებას ეუბნებოდა და ისინი უარს აცხადებდნენ თორაზე. ხოლო, როცა გამჩენმა ებრაელებს შესთავაზა თორა, მათ უპასუხეს შევასრულებთ და გავიგებთ (ნაასე ვენიშმა). ამიტომაც გამჩენმა ებრაელებს უბოძა თორა.

საინტერესოა, რომ ის მიცვები, რასაც გამჩენი ხალხს სთავაზობდა მათთვის ყველაზე ძნელი შესასრულებელი იყო (მაგალითად, იშმაელის შთამომავლებს უთხრა – არ მოიპარო). რატომ? ხომ შეიძლებოდა შეეთავაზებინა მათთვის ის მცნებები, რომელთა შესრულებაც მათ აწყობდათ, მაგალითად მშობლების პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული ისე, როგორც საკუთარი თავისა და ა. შ. რატომ არ გააკეთა ეს გამჩენმა? მაგრამ პრობლემა თავად კითხვაში იყო: „რა წერია მასში?` ანუ შეგვეფერება, გვაწყობს ეს ჩვენ, თუარა? ყველა ადამიანური კანონი ხომ მოგონილია ისე, როგორც მას აწყობს. ამიტომაც თავად კითხვა უკვე ცოდვას შეიცავს. თორა გამჩენის სიბრძნეა და არაა საჭირო იმის კითხვა შემეფერება მე, ისეთს როგორიც ვარ, თუ არა. პირიქით, თავად უნდა შეეცადო შეიცვალო, მიიყვანო საკუთარი თავი ამ კანონებამდე, ეყრდნობი რა მათი დამდგენის, ე. ი. გამჩენის, სიბრძნეს. ერთხელ ერთმა ბრძენმა ადამიანმა მითხრა: „მორწმუნე ადამიანებს შეკითხვები არა აქვთ, ურწმუნოებს კი – პასუხები. ებრაელებს არ დაუსვამთ კითხვა, შეგვეფერება ჩვენ თორა, თუ არა. და, თუ ამ კანონებიდან ჩვენთვის რაიმე ძნელი შესასრულებელია, საკუთარი თავი უნდა შევცვალოთ და არა თორის კანონები.

გაზეთ „მენორას“ მე-10 ნომერში დაბეჭდილ მასალასთან („როგორი იქნება დღე ხვალინდელი?“) დაკავშირებით, რედაქციამ მიიღო წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ უცვლელი სახით:

EMBASSY OF ISRAEL
TBILISI

שגרירות ישראל
טביליסי

გაზეთ " მენორას" 16-31 მაისის, მეათე ნომერში
დაიბეჭდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს
პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის დროს
ისრაელში, საქართველოს პირველ ლედის სანდრა
რულოფს მეგზურობას უწევდა ისრაელის ყოფილი
ელჩი საქართველოში რივკა ქოენი.
ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება და არის
სიცრუე იმ მარტივი მიზეზით, რომ რივკა ქოენი
ფიზიკურად არ იმყოფებოდა ისრაელში. 11-13 მაისს იგი
საქართველოში ბრძანდებოდა.
საქართველოს პირველ ლედის მეგზურობას და
მასპინძლობას უწევდნენ ისრაელის საგანგებო და
სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური,
მისი მეუღლე ლეა ცური, ისრაელის საგარეო საქმეთა
სამინისტროს წარმომადგენელი და ბ-ნი ლაშა ჟვანიას
მეუღლე. ეს ფაქტი ფართოდ გაშუქდა ისრაელის და
საქართველოს პრესითა და ტელევიზიით.
გაზეთი მენორა ვალდებულია გამოასწოროს
დაშვებული შეცდომა და ბოდიში მოუხადოს
მკითხველს, ვინაიდან გადაუმოწმებელი, მცდარი
ინფორმაციის გამოქვეყნება, მით უმეტეს, როდესაც ეს
საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ეხება, რბილად
რომ ვთქვათ, ჩრდილს აყენებს გაზეთის იმიჯს.
მით უფრო, რომ ქ-ნ ლეა ცურთან სატელეფონო
საუბარში ინფორმაციის წყაროდ დასახელებულმა,
ქ-მ რივკა ქოენმა უარყო მისი მონაწილეობა ამ
ინფრომაციის გავრცელებაში.
ყოველივე ზემოთქმული ეცნობა ისრაელის საგარეო
საქმეთა სამინისტროს.

إسرائيل ISRAEL

שד' אגמשנבלי 61, טביליסי 0102, גאורגיה טל' 951709 (995 32+) פקס 955209 (995 32+)
st: Agmashenebeli Av.; Tbilisi, Georgia 0102; Tel: (+995 32) 95 17 09; Fax: (+995 32) 95 52 09
website: www.tbilisi.mfa.gov.il

ფრაგმენტი შაბუყოთში საკითხავი რუთის გრაგნილიდან



”უთხრა ბოაზმა თავის ყრმას, მომკელთა ზედამდგომელს: ეს ყმაწვილი ქალი ვისია?” (რუთის გრაგნილი. 2–5)

ვანდალიზმი ბათუმში

ბათუმში, ფერიის სასაფლაოზე ებრაელთა საფლავები დამწვარი და დარბეულია. უცნობებმა საფლავის ქვები „სვასტიკებით“ მოხატეს და ფაშისტური შინაარსის წარწერები დატოვეს.

საფლავების დარბევა ფერიის სასაფლაოზე „პასექის“ დღესასწაულზეც დაფიქსირდა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შაბთაი ცური ბათუმში, ფერიის მთაზე ებრაული სასაფლაოების დარბევის ფაქტს გმობს.

ელჩის განცხადებით, შეიტყო რა ეს სამწუხარო ამბავი, ესაუბრა ბათუმის მერს, რომელიც ძალიან შეწუხებულია მომხდარით. — მან დაარწმუნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს იღონებს დამნაშავეთა გამოსააშკარავებლად და დასასჯელად, მე საქართველოში დავიბადე, აქ გავიზარდე და ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ასეთი ფაქტის არსებობა, ვინაიდან იმ 26 საუკუნის მანძილზე, როდესაც საქართველოში ებრაელები ცხოვრობდნენ, ქართველთათვის უცხოა სიტყვა „ანტისემიტიზმი“. საფლავების დარბევა ჩვენი არაკეთილმოსურნეთა ხელით არის გაკეთებული, — განაცხადა შაბთაი ცურმა.

მომხდართან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც.

„საქართველოს რესპუბლიკა“
№81

კომპიუტერით დააჯილდოვეს

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. სახელმწიფო სკოლების საუკეთესო მოსწავლეებს პრეზიდენტის სახელით კომპიუტერებით აჯილდოებენ. ამას წინათ, პრეზიდენტის ნაჩუქარი კომპიუტერი გადაეცა თბილისის ებრაული სკოლის „თიფერეთ ცვის“ (დირექტორი — რაბი ავიმელეხ როზენბლატი) მეათე კლასის წარჩინებულ მოსწავლეს ლევან (ლევი) ლიგერმანს.

გამოსათხოვარი

მირიამ ბათ მოშე

ამას წინათ, ისრაელში გარდაიცვალა მირიამ ბათ მოშე (მოშე კიზი), რომელიც ადრე ისრაელის რადიოს ქართულ რედაქციაში მუშაობდა, ბოლო ხანს თეატრის დირექტორი მირიამ მოშე კიზი ჩემი კარის მეზობელი იყო. რთული ცხოვრება ჰქონდა განვლილი მირიამს. სრულიად უდანაშაულოდ დაიჭირეს და გადაასახლეს, აქაოდა უცხოური წარმოშობის ებრაელი ხარო. მაშინ სხვადასხვა კატეგორიის ე.წ. „დამნაშავეები“ გადაასახლეს. ყველა ეჭვქვეშ იყო, ვისაც საზღვარგარეთთან რაიმე კავშირი ჰქონდა. მირიამი შინაგანად ძლიერი პიროვნება იყო, მუდამ ოპტიმისტი და ამან გადაატანინა ბევრი გასაჭირი. გადასახლების პერიპეტიებზე არ უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ ყოველთვის მეუბნებოდა, ამათ ხელში ყოველთვის უნდა ველოდო ისევ დაჭერასო. როცა პირველი სიგნალი გაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირიდან შეიძლებოდა ისრაელში წასვლა, მირიამი იმთავითვე სამზადისს შეუდგა, რადიოში ვიმუშავებ ქართულ გადაცემებზეო. დაიწყო ქართულ მეტყველებაში ვარჯიში. ამ თემებზე ჩვენ ყოველდღიურად ვსაუბრობდით. ძალიან კარგი მეზობლობა გვქონდა. მისი დედაც სათნო და კეთილი ქალი იყო.

მირიამს თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, პირველი გამოშვება იყო. 1969 წელს ათმა კაცმა დაამთავრა, ყველა დაიხოცა, მარტო მირიამი იყო ცოცხალი ჯგუფიდან და ისიც წავიდა.

მირიამი თეატრის ისტორიის კურსს კითხულობდა კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში.

ახლობლები მირიამს შინაურულად კიზის ეძახდნენ. მუდამ მოძრავი, მოუსვენარი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი კიზი ფსიქოლოგიურად დიდხანს ემზადებოდა ახალ გარემოსთან შესაგუებლად. თითქოს შეეგუა კიდეც, დამშვიდდა, მაგრამ როცა წასვლის დრო დადგა, საშინლად განიცადა, არ დამავიწყდება მისი განცდები... მთელი საღამო მე სახლში ვიყავი, შფოთავდა, ცრემლებად იღვრებოდა, არც დარჩენა შეეძლო.

— ვასო, შენ არ იცი, რა არის სულ გადასახლების შიშით ცხოვრება. სულ რაღაც ცუდს ველოდებიო.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ისრაელში ჩავედი, მირიამმა სახლში მიმიწვია. დედა უკვე გარდაცვლილი იყო. შევხვდით, როგორც ახლობლები. გულუხვად გამიმასპინძლდა, სულ იმის ცდაში იყო, რითიმე გავეხარებინე, ჩემი ოჯახის ყველა წევრისათვის საჩუქრები გამომატანა. გული დამწყვიტა მირიამის გარდაცვალებამ. წავიდა კეთილი და სიცოცხლით სავსე ჩვენი მირიამი.

ვასილ კიკნაძე
საქართველოს თეატრისა
და კინოს უნივერსიტეტის
პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

თამარ ელაშვილის ოჯახისაგან:

გარდაცვლილის ოცდაათი შედგება 2008 წლის 3 ივნისს.
საფლავზე გასვლა –16:00. სეუდა–18:00
მისამართი: მეირ საფრანის ქ. 2/2, ლოდი
ტელ: 08-9242546

მალხაზ ბათიაშვილი თანაგრძნობას უცხადებს არონ ელაშვილს დედის —

ქ-ნ თამარ ელაშვილის

გარდაცვალების გამო.

დოდო და მიშიკო მირილაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ადმინისტრაციულ დირექტორს არონ ელაშვილს დედის —

თამარ ელაშვილის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გამგეობა და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კონგრესის ადმინისტრაციულ დირექტორს ბ-ნ არონ ელაშვილს დედის --

ქ-ნ თამარ ელაშვილის

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და
გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

JDC

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

הסוכנות היהודית לארץ ישראל
Jewish Agency for Israel